

ქართული სახელმწიფოებრიობა, ადმოსავლური ქრისტიანობა და კველი ქართული კულტურა*

დღეს ბევრი ლაპარაკია ქართველთა შორის გათიშულობის დაძლევისა და ქართველი ხალხის გაერთიანების შესახებ, რაც წინაპირობა და ძირითადი ფაქტორი უნდა იყოს სუვერენული და დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს შექმნისა და განვითარებისათვის. ჩვენ უნდა მივალწიოთ საზოგადოებრივ თანხმობას, უნდა აღვადგინოთ ეროვნული მთლიანობა და გავერთიანდეთ, განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებების და მიდრეკილებებისა, ჩვენი საერთო ენისა და კულტურის ნიადაგზე. ოდესღაც სწორედ ქართული ენა და ქართული ქრისტიანული კულტურა იყო ის ფაქტორი, რომელმაც ქართველი ერი, ცალკეულ ქართველურ ტომთაგან შემდგარი, გააერთიანა და საფუძველი ჩაუყარა ერთიანი, მთლიანი და მძლავრი ქართული სახელმწიფოებრიობის შექმნას.

ქართული სახელმწიფოებრიობის საწყისები ჩვენ ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე ცალკეული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების არსებობაში უნდა ვიკვლიდეთ, რომელთა უშუალო გაგრძელებას სწორედ შემდგომში ჩამოყალიბებული ერთიანი ქართული სახელმწიფო წარმოადგენდა.

აქ პირველ რიგში დგება საკითხი „კოლხეთის“ შესახებ, რომლის თაობაზე უძველესი ცნობები ბერძნულ წყაროებშია შემონახული, კერძოდ, ბერძნულ მითოსში არგონავტების შესახებ.

საპროლოგო

* **რისკულაძე**, 2001 წ. 4 იანვარი. ამავე პრობლემატიკაზე იხ. აგრეთვე ჩვენი სხვა პუბლიკაციები (ქართულ და უცხოურ ენებზე) ჟურნალ-გაზეთებსა და სამეცნიერო კრებულებში: „**ქრისტიანობა და ძველი ქართული კულტურა**“.

ლიტერატურა

– **საქართველო**, 1989 წ. 13–20 მარტი; „**ქრისტიანობა და ქართული კულტურა**“, გაზ. „**საქართველოს პარლამენტი**“, 1995 წ. 15 სექტემბერი, №10; „**Christentum und altgeorgische Kultur**“. *Georgien im Spiegel seiner Kultur und Geschichte*, hrsg. von Brigitta Schrade und Thomas Abbe, Berlin, 1998, S. 88-90 (შდრ. „**Caucasica**“). *The Journal of Caucasian Studies*, vol. 1, Tbilisi, 1998, pp. 68–72); „**საქართველო ევროპაა თუ აზია?**“.

ლიტერატურა

– **საქართველო**, 1999 წ. 18–25 ივნისი; **საქართველოს რისკულაძე**, 1999 წ. 26 ივნისი; „**ქრისტიანობა და ძველი ქართული კულტურა**“.

პარიზის საერთაშორისო კოლოკვიუმი. მასალები, თბილისი, 2000, გვ. 75–81; „**საქართველო ევროპაა თუ აზია? ქართული სახელმწიფოებრიობა, ადმოსავლური ქრისტიანობა და ძველი ქართული კულტურა**“. – ჟურნ. „**ACADEMIA. ისტორიულ-ფილოლოგიური შპრნალი**“, თბილისი, 2001, №1, გვ. 3–8 (რეზიუმე ინგლისურ ენაზე); „**ძველი ქართული დამწერლობის ქრისტიანული საწყისები**“. – ჟურნ. „**გელათის მცნონიერებათა აკადემიის შპრნალი**“, ქუთაისი, 2002, №4, გვ. 3–9; „**ქრისტიანობა და ძველი ქართული დამწერლობა**“. – კრებ. „**კონსტანტინე ზერეთელი – 80**“. საიუბილეო პრეზიუმე, თბილისი, 2003, გვ. 78–83 (რეზიუმე ინგლისურ ენაზე); „**Christianity and the Old Georgian Culture**“. – კრებ. „**ქრისტიანობის 20 საუკუნე საქართველოში**“, თბილისი, 2004, გვ. 132–136; „**ქრისტიანობა და ძველი ქართული კულტურა და დამწერლობა**“, საერთაშორისო კონფერენცია „**რელიგია და საზოგადოება – რწმენა ჩვენს ცხოვრებაში**“. მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბილისი, 2004, გვ. 89–91; „**ქრისტიანობა და ძველი ქართული კულტურა და დამწერლობა**“. – ჟურნ. „**ლოზონი**“, თბილისი, 2004, №2, გვ. 13–16 (რეზიუმე — ინგლისურ ენაზე); „**რატომ არის საქართველო ევროპის ნაწილი და რატომ არიან ქართველები უძველესი ევროპელები**“. – **(24) სთაილი**, 2004 წ. 7 თებერვალი.

ბერძენი არგონავტები იასონის წინამძღოლობით ზღვით მოემგზავრებიან კოლხეთში, აიას ქვეყანაში, მეფე აიეტის სამფლობელოში „*ოქროს საწმისის*“ მოსაპოვებლად. არგონავტების მითოსი ასახავს ამბებსა და მოვლენებს, რომლებიც ძვ. წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის ბოლო პერიოდზე მოდის. კოლხეთი, ანუ აიას ქვეყანა, ამ დროს მოიცავს თანამედროვე აფხაზეთისა და დასავლეთ საქართველოს გარკვეულ ნაწილს, სადაც მიედინებოდა მდინარე ფაზისი (თანამედროვე რიონი) და მდებარეობდა ქალაქი „*ქუთაია*“ (*ქუთაისი*).

მაგრამ ეთნიკურად რაგვარი მოსახლეობა ბინადრობდა ამ ტერიტორიაზე ან მის ნაწილზე აღნიშნულ პერიოდში? ამაზე მინიშნებას ჩვენ თვით ბერძნული *კოვ* - „*ოქროს საწმისი*“, „*ტყავი*“ სიტყვის წარმომავლობა გვაძლევს. ამ სიტყვის ბერძნულში გაჩენა (იგი გვხვდება „*ტყავის*“ მნიშვნელობით უკვე ძვ. წელთაღრიცხვის XV/XIV საუკუნეების ბერძნულ *B-ხაზოვანი* დამწერლობით შესრულებულ წარწერებში. პირველადი, საკუთრივ ბერძნული სიტყვა „*ტყავის*“, „*კანის*“ აღსანიშნავად ჟღერდა როგორც *დერმა* – მდრ. თანამედროვე ტერმინი „*დერმატოლოგია*“) უნდა უკავშირდებოდეს მის სესხებას ადგილობრივი მოსახლეობის ენიდან და ეს ენა უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი დასავლურ-ქართველური დიალექტი მეგრულ-ლაზური ტიპისა, სადაც „*ტყავის*“ აღმნიშვნელი სიტყვა ჟღერდა როგორც *[ტსკოვ]*-ი (მდრ. თანამედროვე მეგრ. *ტყებ*-ი, ლაზ. *ტებ*-ი „*ტყავი*“, მომდინარე უფრო ადრინდელი *ტკოვ*-ი ფორმისაგან). ეს ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკურ ხასიათს, მიუთითებს იმაზე, თუ რა ეთნიკური შედგენილობისა იყო უძველეს ეპოქაში კოლხეთი და მიმდებარე ტერიტორიები. ამით დასტურდება ის დიდმნიშვნელოვანი ფაქტი, რომ კოლხეთის მოსახლეობა ეთნიკურად ქართულ-ქართველური იყო და რომ იგი ერთ-ერთ დასავლურ-ქართველურ დიალექტზე მეტყველებდა, რომელსაც აკაკი შანიძე „*კოლხურს*“ უწოდებს და რომლისგანაც შემდგომ წარმოიშვა მეგრული და ლაზური. სწორედ ამ ენაზე მეტყველებდა მეფე აიეტი და მისი გრძნეული ქალიშვილი მედეა (იხ. ჩვენი „*ოქროს საწმისი*“ და *ძველი კოლხეთის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობა, ანუ რა ენაზე მეტყველებდა მეფე აიეტი?*“. – „*ლიტერატურული საქართველო*“, №12, 1998 წ. 20–27 მარტი). აქვე უნდა ყოფილიყო გავრცელებული, აგრეთვე, სვანურიც. დადგენილია, რომ სვანური ამ უძველეს ეპოქაში უფრო სამხრეთითაც უნდა ყოფილიყო, ვიდრე ამას ჩვენ მოგვიანო ხანებში ვადასტურებთ.

ამ მეცნიერულ დასკვნებს დღეს ჩვენთვის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს, რამდენადაც აფხაზური სეპარატიზმის თანამედროვე იდეოლოგია იმ ძირითად დაშვებას ემყარება, რომ ძველი კოლხეთის მოსახლეობა ეთნიკურად მთლიანად აფხაზურ-აფსუური იყო და რომ ქართულ-ქართველური ტომები ამ ტერიტორიაზე მხოლოდ მოგვიანებით დასახლდნენ. ამით მართლდება იდეოლოგიური თვალსაზრისით აფხაზეთის მთლიანი ტერიტორიის ის „*ეთნიკური წმენდა*“, რომელიც მათ ბოლო წლებში ასეთი „*ეროვნული ერთეულობით*“, უცხო ძალების დახმარებით, მთელი ქართველი მოსახლეობის მიმართ

განახორციელეს. ამავე მიზნით უფრო ადრე აფხაზმა სეპარატისტებმა დაიწყეს, როგორც ცნობილია, აფხაზეთის უძველესი ქართულ-ქართველური ტოპონიმის გადასინჯვა, მისი „გააფხაზება“ (თუმცა, როგორც ირკვევა, „აფხაზ-აბაზგებად“ თავდაპირველად იწოდებოდნენ არა თანამედროვე „აფხაზ-აფსუების“ უშუალო წინაპრები, არამედ სხვა ტომები, მათ შორის, შესაძლებელია, ქართველურიც. იხ. ჩვენი „*ძველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან*“ – „*საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე*“. ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1991, №2, გვ. 7–16).* ამავე დროს ხდება უძველესი, ძვ. წელთაღრიცხვის II ათასწლეულით დათარიღებული *ძველი ბიბლოსის* (წინა აზია) სემიტური წარწერების თანამედროვე აფხაზურ (ე.წ. „აშუურ“) ენაზე „წაკითხვა“ და *ძველი ბიბლოსის* სემიტური წერის გამოცხადება „*ძველ აფხაზურ დამწერლობად*“, რომლისგანაც თითქოს გამოიყვანება *ფინიკიური, ძველი ბერძნული* და, მაშასადამე, ყველა ის დამწერლობა და ანბანები, რომლებიც ქრისტიანულ აღმოსავლეთისა თუ დასავლეთში ამ უკანასკნელთაგან მომდინარეობენ! (იხ. ჩვენი: «*პროფესორ გ. ტურჩანინოვის ერთი „აღმოჩენის“ გამო*» (წერილი საკავშირო მეცნიერებათა აკადემიას). – „*ლიტერატურული საქართველო*“, №13, 1989 წ. 31 მარტი). აქედან გასაგებია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი დღევანდელი სინამდვილისთვის ისტორიული ჭეშმარიტების დადგენას და *კოლხეთის ისტორიის* ობიექტურ გაშუქებას. აქედან სხვა დასკვნაც გამომდინარეობს: თუ ჩვენ ქართული სახელმწიფოებრიობის უძველეს თარიღს აღვნიშნავთ, ეს თარიღი „*ძველი კოლხეთის სამეფოს*“ უნდა დაუკავშირდეს.

ამდენად, ქართული სახელმწიფოებრიობის დასაწყისად „*კოლხეთი*“, არგონავტების მითოსური „*აიას სამეფო*“ უნდა მივიჩნიოთ და ქართული სახელმწიფოებრიობის უძველესი თარიღის აღნიშვნა ბერძნულ მითოლოგიაში ასახული „*კოლხეთით*“ უნდა დავიწყოთ, რომლის არსებობა ჩვენ უკვე ძვ. წელთაღრიცხვის II ათასწლეულის ბოლოდან უნდა ვივარაუდოთ. საქმე ისაა, რომ არგონავტების მითოსში აღწერილი მოვლენები მთლიანობაში ისტორიულ რეალობას უნდა ასახავდეს, რაც დასტურდება მთელი რიგი მითოლოგიური სახელების უძველეს ბერძნულ წარწერებში როგორც რეალური პირებისა და ქვეყნების სახელებად მოხსენიებით. უახლესი გამოკვლევებით ირკვევა, რომ ისეთი საკუთარი სახელები, როგორიცაა კოლხიდა-კოლხეთი, ქვეყანა აია, აიეტი, იასონი და სხვ. შეიძლება ამოვიკითხოთ ე.წ. „*მიკენურ*“-ბერძნული „*B-ხაზოვანი დამწერლობით*“ შესრულებულ წარწერებში.

ამგვარად, „*არგონავტების მითოსში*“ აღწერილი ქვეყანა

* ამავე თემაზე იხ. აგრეთვე ჩვენი შემდეგი პუბლიკაციები: „*აფხაზ-აბაზგ-ი*“ და „*აბაზა-აფსუა*“. ვინ იყვნენ ეთნიკურად და ენობრივად ამ სახელებით აღნიშნული ხალხები?“. – გ.ზ. „*პრო*“, №15 (4277), 10 აპრილი 1991 წ.; „*К проблеме историко-этимологического осмысления этнонимов Древней Колхиды*“. – „*Вопросы Языкознания*“, Москва, 1991, №4, стр. 89–95; „*Aus der Geschichte der Stammnamen der alten Kolchis*“. – „*Georgica*“. *Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens*, №15, Konstanz, 1992, S. 82–89; „*ძველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან*“. – კრებ. „*სამართიველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*“, თბილისი, 1993, გვ. 581–602 (ქართულ და რუსულ ენებზე, რეზიუმე ინგლისურ ენაზე); „*On the history of the term apxaz-/abazg-*“. – *SEMITICA. Serta Philologica Constantino Tsereteli Dicata*, Torino, 1993, pp. 69–76.

კოლხიდა–კოლხეთი და მასთან დაკავშირებული მოვლენები რეალობაა, რეალობაა იგი ქრონოლოგიური თვალსაზრისითაც. ამით განისაზღვრება კოლხეთის სამეფოს ზედა ქრონოლოგიური ზღვარი ჩვენს წელთაღრიცხვამდე II ათასწლეულის ბოლოთი და პირველი ათასწლეულის დასაწყისით, რაც ბუნებრივად წყვეტს საკითხს დღეისათვის ქართული სახელმწიფოებრიობის 3000 წლის თარიღის სასარგებლოდ.

ქართული სახელმწიფოებრიობის სამი ათასი წლისთავი სწორედ „კოლხეთის“ ქართულ–ქართველურ სახელმწიფოდ მიჩნევამ განსაზღვრა; სწორედ ძველი კოლხეთით, კოლხური სახელმწიფოებრიობით თარიღდება უძველესი ქართული სახელმწიფოებრიობა. შემთხვევითი როდია, რომ „ქართული სახელმწიფოებრიობის“ ჩამოყალიბების უძველეს თარიღად სხვადასხვა მეცნიერულ თვალსაზრისებს შორის საქართველოს პრეზიდენტი სწორედ „კოლხურ ვარიანტზე“ ჩერდება.

ტერიტორიულად „კოლხეთი“ ძველი ბერძნებისთვის ევროპაში მდებარეობდა.

„ევროპა“ და „აზია“ ფიზიკური გეოგრაფიის თვალსაზრისით საერთო კონტინენტს წარმოადგენს, რომელიც თანამედროვე ნომენკლატურაში ცნობილია „ევრაზიის“ სახელწოდებით. ამ საერთო კონტინენტის დაყოფა „ევროპულ“ და „აზიურ“ ნაწილებად არსებითად პირობითია, უფრო გეოპოლიტიკური ფაქტორებით არის შეპირობებული და ძირითადად კულტურულ-ისტორიულ ტრადიციებს ემყარება.

გეოგრაფიული სახელები „ევროპა“ და „აზია“ ანტიკური სამყაროდან მომდინარეობს და ძველ ბერძნულ საკუთარ სახელებს წარმოადგენს, მეტად გავრცელებულს ბერძნულ მითოლოგიაში. ცნობილი ბერძნული მითოსის მიხედვით, „ევროპა“ იყო ფინიკიელი მეფის ქალიშვილი, რომელიც გაიტაცა ღვთაება ზევსმა, ხარად გარდაქმნილმა, კუნძულ კრეტაზე. აქ მათ ეყოლათ შვილი „მინოსი“ – კუნძულ კრეტის მეფე. **მეფე მინოსს** უკავშირდება სწორედ **კრეტაზე** ცნობილი სასახლის – **ლაბირინთის** – აშენება, ბერძენი გმირის **თესევსის ხართან** – **მინოტავრთან** – აქ შებრძოლება და მისი ლაბირინთიდან გამოყვანა არიადნეს ძაფის დახმარებით.

თვით ბერძნული სახელები „ევროპა“ და „აზია“ სემიტური წარმომავლობის სიტყვებს უკავშირდება, შესაბამისად „საღამოს“, „მზის ჩასვლისა“ და „გამოსვლის“, „მზის ამოსვლის“ მნიშვნელობებით. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის, რომ „ევროპა“ ბერძნულ მითოლოგიაში სწორედ **ფინიკიელი** (ე.ი. **სემიტი**) **მეფის** ქალიშვილი იყო.

ძველი ბერძნებისათვის საზღვარი სამხრეთ ევროპასა და აზიას შორის კოლხურ მდინარე „ფაზისზე“ გადიოდა. მდინარე „ფაზისი“ გაიგივებულია დღევანდელ „რიონთან“, თუმცა „ფაზისის“ სახელწოდებით ბერძნულ სამყაროში სხვა მდინარეებიც აღინიშნებოდა. შესაძლებელია, მდინარე „ჭოროხიც“. ამდენად, „ევროპის“ საზღვრად სამხრეთში ტრადიციული წარმოდგენების მიხედვით რიონი უნდა მივიჩნიოთ და ზოლი „ევროპასა“ და „აზიას“ შორის არა კავკასიონის ქედის გასწვრივ გაავლოთ, არამედ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით არსებული

მდინარეების დინების მიხედვით ვივარაუდოთ.

ამ თვალსაზრისით „კოლხეთი“, „კოლხეთის სამეფო“ ძველი ბერძნებისათვის მთლიანად ევროპაში იყო მოთავსებული და „ვერაზიული“ კონტინენტის საკუთრივ „ევროპულ“ ნაწილს განეკუთვნებოდა.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოს და, საზოგადოდ, „სამხრეთ კავკასიის“ დიდი ნაწილი, უძველესი წარმოდგენების მიხედვით, „ვერაზიული“ კონტინენტის სწორედ ევროპულ ნაწილში მდებარეობს, განსხვავებით რიონის და ჭოროხის სამხრეთით მდებარე რეგიონებისაგან (ანატოლია, ირანის ზეგანი, მესოპოტამია), რომლებიც ამავე წარმოდგენების თანახმად კონტინენტის „აზიურ“ ნაწილს განეკუთვნება და თანამედროვე გეოგრაფიულ ნომენკლატურაში „წინა აზიის“ ან „სამხრეთ-დასავლეთი აზიის“ სახელწოდებით არის ცნობილი (გერმ. *Vorderasien*, ინგლ. *South West Asia*). ამავე არეალს ხშირად „ახლო აღმოსავლეთს“ უწოდებენ (რუს. *Ближний Восток*, ინგლ. *Near East*). ამდენად, საქართველო და „სამხრეთკავკასია“ საზოგადოდ უნდა განვიხილოთ ევრაზიული კონტინენტის საკუთრივ ევროპულ ნაწილში მდებარე რეგიონად, რომელსაც შეიძლება „სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა“ ეწოდოს (რუს. *Юго-Восточная Европа*, ინგლ. *South East Europe*), „სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის“ ანალოგიით (რუს. *Юго-Восточная Азия*, ინგლ. *South East Asia*).

მაშასადამე, „ვერაზიული“ კონტინენტის ევროპული ნაწილი შედგება „დასავლეთ ევროპის“, „აღმოსავლეთ ევროპისა“ (საზღვრებით ურალის მთებისა და კასპიის ზღვის სანაპიროს გასწვრივ) და „სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპისაგან“, რომელშიც შედის საქართველო და „სამხრეთ კავკასიის“ სხვა ქვეყნები (ტერმინებისათვის „სამხრეთ კავკასია“, „*Южный Кавказ*“, „*South Caucasus*“, იხ. თ. გამყრელიძე, „ტრანსკავკასია თუ სამხრეთ კავკასია?“ – „პარლამენტის უწყებაში“, 1997, №39–40; „*Закавказье*“ или „*Южный Кавказ*“? – „*СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ*“, №145, 1997 წ. 4 სექტემბერი).

ამდენად, საქართველოს ევროსაბჭოში შესვლა არსებითად დადასტურება გამოდის იმისა, რომ ქართული სახელმწიფო გეოგრაფიულადაც ყოველთვის ევრაზიული კონტინენტის ევროპულ ნაწილს განეკუთვნებოდა. საქართველოს ამ საბჭოში გაწევრიანება გამოდის ჩვენი ტრადიციული „ევროპულობის“ აღიარება.

ამას პირველ რიგში ხელი შეუწყო საქართველოს და მთელი „სამხრეთ კავკასიის“ გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინზე მოთავსებული, კონტინენტის აზიური და ევროპული ნაწილების გამაერთიანებელი რეგიონისა (იხ. „საქართველო ევროპაა თუ აზია?“. – „საქართველოს რესპუბლიკა“, №168, 1999წ. 26 ივნისი).

ამ ფაქტორის გათვალისწინებით პრეზიდენტი შევარდნაძე აყენებს და პრაქტიკულად ახორციელებს კონცეფციას საქართველოს გადაქცევისა აღმოსავლეთ-დასავლეთის გამაერთიანებელ ძირითად არტერიად, ძირითად სატრანზიტო გზად და დერეფნად აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

ამ ფუნქციას ისტორიულად, როგორც ცნობილია, ასრულებდა „დიდი აბრეშუმის გზა“, რომლითაც სხვა საქონელთან და ნაწარმთან ერთად აღმოსავლეთიდან დასავლეთში უპირატესად ჩინური აბრეშუმი შედიოდა. დადგა საკითხი სწორედ ამ „დიდი აბრეშუმის გზის“ გაცოცხლებისა და აღორძინების.

ტერმინი „აბრეშუმის გზა“ XIX საუკუნის ბოლოს გერმანულ მეცნიერებაში შეიქმნა და იხმარებოდა ჩინეთიდან დასავლეთისაკენ უძველესი სავაჭრო გზის აღსანიშნავად, რამდენადაც აბრეშუმი ძველად დასავლეთში ჩინეთიდან შემოტანილი ყველაზე ფასეული ქსოვილი და ერთ-ერთი უძვირფასესი ნაწარმი იყო, და ისევე როგორც ნავთობი დღეს, აბრეშუმი ძველად იყო არა მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო საქონელი, არამედ ერთ-ერთი ძირითადი საგადასახადო საშუალება მთელ აღმოსავლეთში.

ამდენად, ისტორიულად სავსებით გამართლებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი ახალი სავაჭრო და სატრანზიტო გზის მეტაფორულად „აბრეშუმის გზის“ სახელით წოდება. მაგრამ თუ ისტორიული „დიდი აბრეშუმის გზა“ საქართველოს მნიშვნელოვნად უფრო სამხრეთით გადიოდა და მხოლოდ რაღაც პერიფერიული შტო თუ შემოდიოდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში, დღეს საქართველოზე „ახალი აბრეშუმის გზის“ სწორედ ძირითადმა არტერიამ უნდა გაიაროს; საქართველო დღეს აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი რეგიონის ცენტრშია მოქცეული. შესაძლოა, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ლაპარაკი არა ისტორიული „დიდი აბრეშუმის გზის“ აღდგენისა და გაცოცხლების შესახებ, არამედ „ახალი აბრეშუმის გზის“ შექმნის შესახებ, რომლის ძირითადი აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი არტერია სწორედ საქართველოზე გაივლის, რაც სავსებით შეესაბამება დასავლურ-აღმოსავლური ცივილიზაციებისა და ნაკადების კულტურული შერწყმისა და გაერთიანების საქართველოს ისტორიულ მისიას.

რუკაზე ამ ახალი გეოპოლიტიკური ფუნქციის შეძენით როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი რგოლისა, რასაც დღევანდელ ეტაპზე, უდავოდ, უფრო მეტად პოლიტიკური მნიშვნელობა და ღირებულება აქვს, საქართველო მსოფლიო სტრატეგიული ინტერესების სფეროში ექცევა, რაც მისი დამოუკიდებლობის დამატებით გარანტიებს ქმნის და რაც, მეორე მხრით, ჩვენი სახელმწიფოს ამ უახლესი გეოპოლიტიკური და კულტურული ფუნქციის მოწინააღმდეგე ძალების მძაფრ წინააღმდეგობას იწვევს.

რამდენადაც საქართველო მდებარეობს ევროპის უკიდურესად სამხრეთ-აღმოსავლურ ნაწილში და კონტინენტის „აზიურ“ ნაწილსაც მოიცავს, ბუნებრივია, ქართული კულტურა და ცივილიზაცია სწორედ დასავლურ-აღმოსავლური კულტურების სინთეზსა და სიმბიოზს წარმოადგენდეს, აღმოცენებულს ამ კულტურათა შერწყმისა და შერევის შედეგად.

ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის აკვნად სამართლიანად ანტიკური ბერძნული კულტურა და ცივილიზაცია ითვლება. თვით ეს ბერძნული, „ელბნური“ კულტურა მჭიდროდ არის დაკავშირებული თავისი ფესვებით ძველ აღმოსავლურ ცივილიზაციებთან.

ალექსანდრე მაკედონელის აღმოსავლეთში ლაშქრობის შემდეგ ჩამოყალიბდა ე.წ. „*ელინისტური*“ კულტურა და ცივილიზაცია (გერმანელი მეცნიერის დროიზენის მიერ შემოღებული ტერმინი), რომელიც წარმოადგენდა ბერძნული, „*ელინური*“ კულტურის შერწყმას აღმოსავლურ კულტურულ ტრადიციებთან. ამ პროცესში წინარეისტორიულ ქართულ კულტურულ ტრადიციებსაც გარკვეული წვლილი უნდა შეეჭანა. აღმოსავლეთიდან მომდინარე ეს კულტურული იმპულსები და გავლენები დასავლურ კულტურასა და ცივილიზაციაზე აისახება სწორედ ცნობილ ლათინურ სენტენციაში – *Ex Oriente Lux* – „*სინათლე აღმოსავლეთიდან მოდის*“.

ამ სიმბიოზური „*ელინისტური*“ კულტურის შერწყმით აღმოსავლურ ქრისტიანობასთან იქმნება ბიზანტიური კულტურული ტრადიციები, რომლის სფეროში შემოდიან აგრეთვე აღმოსავლური ქრისტიანობის არეალში მოქცეული ქვეყნები, მათ შორის ისტორიული საქართველოც. „*ელინისტური*“ კულტურული ტენდენციების საფუძველზე ყალიბდება აღმოსავლური ქრისტიანობის წიაღში ახალი კულტურული ცენტრები, საკუთარი ეროვნული დამწერლობებით და აღმოსავლურ-დასავლურ ცივილიზაციაზე დამყარებული ეროვნული კულტურული ტრადიციებით. ამაშია სწორედ ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის უნიკალურობა და განუმეორებლობა, ამაში მდგომარეობს მისი მომხიბვლელობა როგორც დასავლეთისათვის, ისე აღმოსავლეთისათვის.

აღმოსავლური ქრისტიანობა ქრისტიანულ რწმენას წარმართ ხალხთა შორის ავრცელებდა ამ ადგილობრივ ხალხთა ენებზე, რისთვისაც სპეციალური დამწერლობები იქმნებოდა. ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფოს ოფიციალურ რელიგიად გულისხმობდა იმავდროულად ფართო მუშაობის გაშლას ეროვნულ ენაზე ქრისტიანული ლიტერატურის სათარგმნელად სპეციალურად ამ მიზნებისათვის ახლად შექმნილი და ორიგინალური „*ეროვნული დამწერლობის*“ საშუალებით.

ამგვარი ეროვნული ტენდენციები დამახასიათებელი იყო აღმოსავლური ქრისტიანობისათვის, რომელიც აცხადებს ღვთისმსახურების თვალსაზრისით ენათა თანასწორუფლებიანობის პრინციპს და მიისწრაფვის ახალი, ქრისტიანული კულტურის შექმნისაკენ ეროვნული ენისა და ეროვნული დამწერლობის საფუძველზე. აღმოსავლური ქრისტიანობა ამ თვალსაზრისით განსხვავდებოდა რომაული ეკლესიისაგან, რომელიც კრძალავდა სახარების ადგილობრივ ენებზე თარგმნას და ქრისტიანობას თავისი მისიონერების საშუალებით ავრცელებდა ლათინური ენისა და დამწერლობის საფუძველზე, რაც იწვევდა ადგილობრივი ენებისა და კულტურების შეზღუდვას. ***ღვთისმსახურება დასავლურ-ქრისტიანულ სამყაროში მხოლოდ ლათინურად წარმოებდა.***

ამ თვალსაზრისით რომაულ-კათოლიკური ეკლესია მკვეთრად ემიჯნება აღმოსავლურ-ქრისტიანულ სარწმუნოებას და კულტურულ-ტიპოლოგიურად ემსგავსება უფრო მაჰმადიანურ რწმენას, რომელიც კრძალავს ისლამის არაბულად შედგენილი წმიდა წიგნის – „*ყურანის*“ – თარგმნას იმ ხალხთა ენებზე,

რომელთა შორისაც ვრცელდებოდა ისლამი. ამიტომ ამ სარწმუნოებრივ-კულტურულ არეალებში არ მომხდარა „წმიდა წიგნების“ სათანადო ენებზე თარგმნა და არ შექმნილა ამ ენების შესაბამისი დამწერლობანი. ორივე ამ სამყაროში მხოლოდ მოგვიანებით შეიქმნა სათანადო დამწერლობები, და ისიც ძირითადად, ერთი მხრივ, ლათინური და, მეორე მხრივ, არაბული დამწერლობის საფუძველზე.

სულ სხვა სურათი გვაქვს აღმოსავლურ-ქრისტიანულ სამყაროში, სადაც ქრისტიანული რწმენის სხვადასხვა რეგიონებში გავრცელებასთან ერთად იწყება სათანადო დამწერლობათა შექმნა, რათა ქრისტიანობის საღმრთო წიგნები თარგმნილიყო ადგილობრივ ენებზე და დასაბამითგანვე ღვთისმსახურება წარმოებულიყო ამ ხალხთა მშობლიურ ენებზე.

ამ თვალსაზრისით აღმოსავლური ქრისტიანობა, რომლისგანაც ქართული მართლმადიდებლობა მომდინარეობს, უფრო „დემოკრატიული“ აღმოჩნდა ქრისტიანობის წიაღში ადგილობრივი კულტურის განვითარების მხრივ, ვიდრე რომაულ-კათოლიკური; შემთხვევითი არაა ის, რომ რეფორმაციის და, საზოგადოდ, პროტესტანტული მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი დებულება რომაულ-კათოლიკური ეკლესიის საწინააღმდეგოდ სწორედ სახარების ეროვნულ ენებზე უქონლობა იყო და ღვთისმსახურების წარმოება ხალხისათვის გაუგებარ ლათინურ ენაზე. საღმრთო წიგნების მშობლიურ ენაზე გადატანა იყო სწორედ ლუთერანული მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა, რასაც მარტინ ლუთერის მიერ მე-16 საუკუნის დასაწყისში სახარების გერმანულად თარგმნა მოჰყვა და პროტესტანტული ეკლესიის ჩამოყალიბება, სადაც „*ჟამი შეიწირვოდა*“ და „*ლოცვა აღესრულებოდა*“ უკვე ადგილობრივ, ეროვნულ ენებზე.

მხოლოდ ბევრად უფრო გვიან, უკვე ჩვენს დროში, რომაულ-კათოლიკური ეკლესია ნებას რთავს, ლიტურგია აწარმოონ ადგილობრივ ენებზე, რაც არსებითად არღვევს „*კათოლიციზმის*“ ტრადიციულ პრინციპს, ღვთისმსახურების ენობრივი შეზღუდვის თაობაზე.

აღმოსავლურ-ქრისტიანულ სამყაროში ბერძნულ ენასთან და ეკლესიის სხვა ოფიციალურ ენებთან ახლად გაქრისტიანებულ ხალხთა ენების თანასწორუფლებიანობის პრინციპი თანდათან ეროვნულ ენათა პრიმატისა და თვისებრივი აღმატებულობის იდეით იცვლება, რაც, მაგალითად, იოანე ზოსიმეს ქართული ენის „*ქებასა და დიდებას*“ ათქმევინებს, რომლის თანახმად „*მეორედ მოსვლის*“ ჟამს „*ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა*“; ყოველივე ეს საერთო ტენდენციის გამოვლინებაა აღმოსავლურ-ქრისტიანულ სამყაროში – მშობლიური ენის განდიდებისა და აღზევებისა ამ ეპოქაში გაბატონებული ბერძნული ენის საპირისპიროდ. ამ წარმოდგენების თანახმად, მშობლიური ენა ბერძნულის თანასწორი და ტოლი ენაა, „*ესე არიან ორნი დანი*“.

ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის შექმნა ქრისტიანობის ხანაში, როდესაც უნდა დაწვებულიყო ეროვნული ანბანით „*საღმრთო წერილის*“ ქართულ ენაზე გადმოღება, ადვილად გასაგებს ხდის იმ წერილობითი და ლიტერატურული ტრადიციების არსებობასაც, რაც ჩვენ ქართული ენისათვის უკვე

V საუკუნეში უნდა ვივარაუდოთ, როდესაც იქმნება ისეთი რანგის ორიგინალური თხზულება, როგორცაა „**მუშანიკის მარტვილობა**“. ერთი საუკუნე სრულყოფილი დამწერლობის და მწიგნობრული ენის არსებობის პირობებში საკმაო პერიოდი მაღალი ლიტერატურული ტრადიციების შემუშავებისათვის.

ქრისტიანობა იმთავითვე იყო მწიგნობრული რელიგია, და ხალხი, რომელიც ამ სარწმუნოებას ეზიარებოდა, საკუთარ მწიგნობრობას ქმნიდა და ივითარებდა. ამასთანავე, განსხვავებით დასავლური ქრისტიანობისაგან, აღმოსავლური ქრისტიანობა ხელს უწყობდა მწიგნობრობისა და მწერლობის განვითარებას საკუთარ, მშობლიურ ენაზე, ეროვნული ენისათვის ახალი დამწერლობის შექმნასა და ნათარგმნი თუ ორიგინალური ძეგლების შეთხზვას. ამას მნიშვნელოვნად უნდა შეეწყოს ხელი „**ეროვნული ლიტერატურული ტრადიციების**“ სწრაფი განვითარებისათვის საქართველოში. სწორედ ამ სარწმუნოების საფუძველზე იქმნებოდა ახალი ქართული კულტურა და მწიგნობრობა, ყალიბდებოდა ქართველთა ეროვნული ერთიანობის შეგნება; სწორედ ამ კულტურულმა და მწიგნობრულმა ტრადიციებმა მოგვცა მოგვიანებით ქართული სულიერი მწვერვალი – რუსთაველის „**ვეფხისტყაოსანი**“.

ქრისტიანული რწმენა იმხანად, როგორც მშობლიური ენა და კულტურა დღეს, იყო ჩვენში ერთ-ერთი ძირითადი წყარო და პირობა ეროვნული თვითდამკვიდრებისა. სარწმუნოება იმ ეპოქაში, და განსაკუთრებით აღმოსავლურ-ქრისტიანული მართლმადიდებელი რწმენა თავისი მწიგნობრული ტრადიციებით, თავისი ეროვნული ენითა და ორიგინალური დამწერლობით, ხდება ჩვენში მძლავრი იარაღი ეროვნული ერთიანობის შეგნებისა. „**ქართველებად**“ იწოდებოდნენ და ითვლებოდნენ იმხანად ყველანი, ვინც აღიარებდა ქართულ ეკლესიას და ლოცულობდა ქართულად, მიუხედავად მათი ვინაობისა და ეთნიკური წარმომავლობის. უკვე იმ ადრეულ ეპოქაში მოქმედებდა, როგორც ჩანს, ის პრინციპი, რომელიც **გიორგი მერჩულემ** მოგვიანებით ცნობილი ფორმულის სახით ჩამოაყალიბა: „**ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულებს**“.

აღმოსავლეთ სლავებმა და მთელმა ქრისტიანულმა სამყარომ მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში დიდის ზეიმით აღნიშნეს ძველი სლავური დამწერლობისა და ქრისტიანული სლავური კულტურის ათასი წლისთავი. ჩვენც, ქართველობას, გემართებს ათასწლეულების მიჯნაზე საზეიმოდ აღვნიშნოთ უძველესი ქართული სახელმწიფოებრიობის, ქართული დამწერლობის, ქართული ქრისტიანული კულტურისა და „**ვეფხისტყაოსნის**“ შექმნის საიუბილეო თარიღები. ეს იქნებოდა დიდმნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა და ზეიმი მთელი ცივილიზებული ქრისტიანული სამყაროსათვის აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში.